სსიპ კოლეჯი „მერმისი“

პროექტი „ცხოვრება ჯანსაღი წესით“

ყოველწლიურად კოლეჯში 1600 სტუდენტი და მსმენელი, მათ შორის 100-მდე სსსმ და შშმ პირი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო, მომზადება/გადამზადების და მოკლევადიან პროგრამებზე. გარდა პროფესიული უნარების ჩამოყალიბებისა კოლეჯის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზრუნავს წარმოადგენს სტუდენტებს განუვითაროს სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციები-კონსტრუქციული თანამშრომლობა, ტოლერანტობა, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა. რისი მიღწევა შესაძლებელია არამარტო პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულების სწავლის შედეგების მიღწევით, ამედ ექსტრაკურიკულური აქტივობებით, კერძოდ, სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებით, სტუდენტთა ჩართულობით სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის სტუდენტთა/მსმენელთა სპორტული აქტივობების განხორციელებით. ამ მიზნით კოლეჯმა წარადგინა განაცხადი ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს პროგრამების „ექსტრაკურიკულური აქტივობების განვითარების ხელშეწყობის“ კომპონენტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში და მოიპოვა პროექტის „ცხოვრება ჯანსაღი წესით“ განხორციელების უფლება

პროექტის მიზანია:

1. სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სტუდენტების სპორტული შესაძლებლობების რეალიზაციის ხელშეწყობა.

პროექტის ძირითადი აქტივობებია:

1. კლუბის „ცხოვრება ჯანსაღი წესით“ დაფუძნება
2. მცირე სატრენაჟორო დარბაზის მოწყობა
3. კვალიფიციური სპეციალისტის მიერ ტრენინგ-კურსების და მასტერკლასების ჩატარება ტრენაჟორების მოხმარების წესების და სავარჯიშო პროგრამების გამოყენების შესახებ
4. კვალიფიციური სპეციალისტების მიერ ტრენიგების ჩატარება სწორ კვებასთან დაკავშირებით
5. ცნობილ სპორტსმენებთან შეხვედრის მოწყობა

პროექტის ფარგლებში დაფუძნებული კლუბის ძირითადი აქტივობებია:

1. კლუბის წევრების მიერ ჯგუფების ფორმირება ყველა პროფესიული პროგრამის სტუდენტების/მსმენელების, სსსმ და შშმ სტუდენტების/მსმენელების, კოლეჯის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდობის და პარტნიორი სკოლების ჩართულობით
2. შეჯიბრებების ჩატარება სპორტის სხვადასხვა სახეობაში
3. კლუბის წევრების მიერ სავარჯიშო ჯგუფების აქტივობების დაგეგმვა და ვარჯიშების ორგანიზება
4. კლუბის წევრების მიერ სხვადასხვა ჯგუფებში სწორ კვებასთან დაკავშირებით პრეზენტაციების მოწყობა